

საბჭოთაო. დედის მუშაში, არ გაიცვლება სხვაფერად...

ოღიში

1990

შ ა ბ ა თ ი

10

ნოემბერი

№135 (10372)

ფასი 8 კაპ.

გაზეთი გამოდის 1990 წლის 1 მარტიდან

საბ. კვ. ზუგდიდის სახალაო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა სახალაო და რაიონული საბჭოების ორგანო

შესვენება დეპუტატობის კანდიდატურასთან

საბჭოთაო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში გაიმართა შეხვედრა იმ დეპუტატობის კანდიდატურასთან, რომლებიც საქართველოს კომპარტიის სიით მონაწილეობენ უზენაეს საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მეორე ტურში. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ უფრო ადრე არაა შესაძლებელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარების მიუხედავად საქართველოს კომპარტიის მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა თითქმის ერთმა მესამედმა. ამასთან, არჩევნების მეორე ტურში ბრძოლას განაგრძობს 40-ზე მეტი კანდიდატი, რომელთა შორის ბევრი ცნობილი მეცნიერი, საზღვრულ და პარტიული მუშაკია. შეხვედრაზე ითქვა, რომ საჭიროა დეპუტატობის კანდიდატურაში, მათა ნდობით აღიარებული პირებისა და მხარდაჭერა უფრო აქტიურად იმუშაონ მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან, უკეთ წარმოაჩინონ დეპუტატობის კან-

დიდატთა პროფესიული და პირადი თვისებები, განსაკუთრებით გამაზივილონ ყურადღება საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამასა და მის ბოლოდროინდელ საქმიანობაზე, რომელიც მთლიანად შეესაბამება ჩვენი ხალხის, შიდაეროვნული და ერთაშორისი თანხმობის ინტერესებს.

საბჭოთაო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზ-ცენტრი.

**ჩვენს მკითხველს
შევახსენებთ: თუ გსურთ
1991 წლის იანვრიდან
მიიღოთ გაზეთი „ოღიში“
ნუ დააყოვნებთ
ხელმოწერას.
გაზეთის საცალო ფასი
5 კაპიკია.**
1 წლით—7 მან. 8) კაპ.
6 თვით—3 მან. 90. კაპ.

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ც ნ ო ბ ა

1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ

საბჭოთაო კომპარტიის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 3,444,002. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2,406,742 ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 69.88 პროცენტს შეადგენს. ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო 2,311,923 ამომრჩეველმა, რაც საერთო რაოდენობის 67.18 პროცენტს შეადგენს. ბათილად ცნობილია 84,779 ბიულეტენი.

- პროპორციული სისტემით არჩევნების პარტიების (საარჩევნო ბლოკების) სასარგებლოდ მიცემული ხმების რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა:

1. „თავისუფლება“	71602	3,10 პროცენტი
2. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია	32,699	1,41 პროცენტი
3. საქართველოს კომუნისტური პარტია	683,824	29,58 პროცენტი
3. „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“	80,262	3,47 პროცენტი
6. საქართველოს სახალხო პარტია	15,496	0,67 პროცენტი
7. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება	53,673	2,32 პროცენტი
10. სრულიად საქართველოში მთავრობის კავშირი	8,029	0,35 პროცენტი
11. „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“	33,687	1,46 პროცენტი
12. „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“	1,248,111	53,99 პროცენტი
13. საქართველოს სახალხო ფრონტი	43,771	1,89 პროცენტი
14. „დემოკრატიული საქართველო“	40,769	1,76 პროცენტი
- „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“ საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით არჩეულან 21 დეპუტატი.
- საქართველოში კომუნისტური პარტიის პარტიული სიით არჩეულია 34 დეპუტატი.
- პროპორციული სისტემით არჩეულ ამომრჩეველთა სიით გამოკვეთილია ნიუბალი ხმის მიცემისა და არჩევნების მეორე ტურის ჩატარების შემდეგ.

№ 91 ქ. ზუგდიდის საარჩევნო ოლქი
უორეოლიანი თამაზ ომარის ძე, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი, წარადგინა საარჩევნო ბლოკში „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“ 1960, თბილისის რაიონის, ზუგდიდის ფაქტურის ქარხანა, უფროსი ინჟინერი, 1-36046, 2-24073, 3-17509, 4-1119.

№ 92 კახეთის საარჩევნო ოლქი
ქობია ზაურ დავითის ძე, ჰელსინკის კავშირის წევრი, წარადგინა საარჩევნო ბლოკში „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“, 1941, კოლხეთის რაიონის „მეგობრობა“, წევრი, 1-24392, 2-16470, 3-11903, 4-1103.

№ 93 რუხის საარჩევნო ოლქი
შურდია ვალტერ გრიგოლის ძე, ჰელსინკის კავშირის წევრი, წარადგინა საარჩევნო ბლოკში „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“, 1944, მძლარი, კოლხეთის რაიონის „სინთეზი“, მძლარი, 1-25378, 2-17934, 3-11298, 4-980.

8. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ხელახალი ხმის მიცემა დანიშნულია მიმდინარე წლის 11 ნოემბერს 59 საარჩევნო ოლქში, ესენია № 5 დ. აღმაშენებლის, № 6 დიღმის, № 7 ჩუღურეთის, № 8 ფიროსმანის, № 9 მთაწმინდის, № 10 ი. ჭავჭავაძის, № 11 ვაჟა-ფშაველას, № 12 კრწანისის, № 14 ისნის, № 15 ნავთლუღის, № 16 ვაჟისუბნის, № 18 სამგორის, № 19 ლილოს, № 20 „საქმიდროენერგომშენის“, № 21 ბახტრიონის, № 22 კოლხეთის, № 27 გამარჯვების, № 30 კასპის, № 32 ვარიანის, № 33 ქ. გორის, № 35 ხაშურის, № 36 ბორჯომის, № 38 აღიგენის, № 45 მარნეულის, № 49 გ. ლეონიძის, № 50 ვაჟაყას, № 51 დუშეთის, № 52 თიანეთის, № 53 გურჯაანის, № 54 კარდენახის, № 55 ხაჯარჯოს, № 56 ხილნაღის, № 58 ლაგოდეხის, № 59 ყვარლის, № 60 თელავის, № 61 ვარდისუბნის.

№ 62 ახმეტის, № 63 ხარაგაულის, № 65 ყვირილის, № 66 კიათურის, № 68 თერჯოლის, № 70 ბაქსუბნის, № 74 წყალტუბოს, № 75 ტყიბულის, № 76 ამბროლაურის, № 78 ლენტეხის, № 88 ბაღდადის, № 84 ჩოხატაურის, № 85 ლანჩხუთის, № 86 ქ. ოზურგეთის, № 87 შემოქმედის, № 90 ხობის, № 97 მესტიის, № 98 ფოთის, № 106 გულრიფშის, № 110 გალის, № 112 გოგებაშვილის, № 118 დ. აღმაშენებლის, № 125 ლენინგოლის საარჩევნო ოლქები.

4. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის 57-ე მუხლის შესაბამისად არჩევნების მეორე ტური დანიშნულია მიმდინარე წლის 11 ნოემბერს 7 საარჩევნო ოლქში, ესენია № 10 დასავლეთის, № 105 ბიჭვინთის, № 107 სოხუმის, № 109 ოჩამჩირის, № 121 ქ. ცხინვალის, № 123 ჭავჭავაძის, № 124 ზნაურის საარჩევნო ოლქები.

ცნობა 11 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგების შესახებ გამოქვეყნდება დამატებით.

5. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად ხელახალი არჩევნები ჩატარდება № 103 ტყვარჩელის და № 106 გულაუთის საარჩევნო ოლქებში.

ამ საარჩევნო ოლქებში არჩევნების ჩატარების თარიღი გამოცხადდება დამატებით.

ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ბრძოლი—90
დაიწყო ყურძნის ჩაბარება
მიმდინარე სეზონში რაიონის საზოგადოებრივი სექტორის შეგნებებმა დენის ქარხანას უნდა ჩააბარონ 240 ტონა ყურძენი. 8 ნოემბრისათვის ჩაბარებულია 581 ტონა.
რაიის კომპერსონების მევენ-
აბებს 30 ტონიდან ჩაბარებულ აქვს 10,3 ტონა, ჭიხაშკარებში 76 ტონიდან 12,5 ტონა. კოლხიდელებს 7 ტონიდან 6,8 ტონა, შამგონელებს 55 ტონიდან 29 ტონა.
ყურძნის ჩაბარება გრძელდება.

საბჭოთაო
საბჭოთაო
საბჭოთაო

ეკოლოგია და ჩვენი

ამ წერილს შესავალი არ სჭირდება დასკვნა? ვფიქრობთ თვითმკითხველი გამოიტანს (თუ მხოლოდ ამას დასჯერდა) მას, მიუხედავად თანამიმდევრულად და მხოლოდ ფაქტებით.

ჩვენი რაიონის შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე (სოფლები ანაკლია და განმუხური) სსრკავშირის შეიარაღებული ძალების ხაზი სხვადასხვა დანიშნულების ნაწილი ღვას: ხარაქტო, სახა-დგრო და საპარო „თავდაცვის“. პირველ ორს ანაკლიის ტერიტორიის 40 ჰექტარი უჭირავს, მესამეს კი განმუხურის 27 ჰექტარი.

მას ასე: როგორ გვცავს ჩვენი „მშაბი ავიაცია“ და რა „ხარტა ებლობა“ მოაქვს იმ რადიოხალკაციო ნაწილს, საპარო თავდაცვას რომ ემსახურება.

იმ ტერიტორიაზე, სადაც დღეს ეს ნაწილი დახანაკებულა, 10x1 წლამდე ბავშვთა ბანაკი ყოფილა კლავ ქრისტიანს კოლხეთის დახლოებითი დამახასიათებელი მურყნარისათვის რცხილა და წიფელი შეურთვია, ეს ზეები ბუნებრივად შეთვისებია იქაურობას. პლავი კი ქარბი ქვიშარობითა და ზღვის დონით (ნორმაზე 50-70 სმ-ით დახლოდა) სრულიად განსხვავდება საქართველოს სხვა რეგიონების ზღვისპირებისაგან, რაც განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის.

და აი, ეს ბელარუსელი 1951... თურმე სამხედროებს მოსწონებო-

ათ ეს ადგილი, აქ გაცილებით უკეთ მოვემზადებით „მტრების“ დასახვედრად და აქ დაუღვიათ ბინა. მაგრამ სამხედროც არის და სამხედროც—ფორმიან ყაზახებს რადიოლოკატორული სისტემა ჩამოუტანიათ და დაუმონტაჟებია...

შეიარაღებული კალაშის მორიგი უშახში ანუ ვინ გამოჩეკავს წიწილებს?

რადიოლოკატორული ნაწილი შედგება სხვადასხვა ხასიათის რადიოლოკატორებისაგან, რომლებიც დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ ავრცელებენ ზემოდალი სიხშირის რადიოტალღებს საპარო სივრცის 450-კილომეტრიანი რეგიონის გასაკონტროლებლად. კეთილი და პატრიოსანი—ავრცელონ ეს ტალღები და იყენენ, ჩვენ რას გვიშაუებენ? ამ კითხვის გულმურყვილობაში წამსვე დავრწმუნდებით, თუკი დავინტერესდებით თუ რა „სიკეთი“ მოაქვს მას ადამიანის ორგანიზმისათვის—ყველა სახის სიმ-ლიენე; ქალისა და მამაკაცის პორმონების ფუნქციის მოშლა, ფეხ-მომომის ნორმალური ციკლის რღვევა და ნაადრევ მშობიარობას, ბავშვთა მათლოგიას.

(განსაკუთრებით ჭკუფური ფრენის დროს), რომელიც ხათობით გრძელდება, საშინელ ხმაურს იწვევს, ეს ხმაური დამც არ წყდება. არც ისე იშვიათად ჭკუფური ფრენის დროს დავალებას ერთდროულად რვა თვითმფრინავის ეკიპაჟი ასრულებს ანუ თექვსმეტი ძრავა გუგუნებს და ასეთ დროს წარმოიადგინეთ მონაწილე მყოფი ხალხის, ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა. ახლა ისიც ვნახოთ, რამდენაა ადამიანის ორგანიზმისათვის ხმაურის დასაშვები ნორმა—ზღვრიანი. განმუხურის, ანაკლიის და დარჩილის მოსახლეობასაც კი ორმოცდაათჯერ უფრო ძლიერი ხმაურის ატანა უხდება—ეს ხმაური კი იწვევს—გულსისხლ-

ძარღვთა სისტემის დაავადებებს: მიბერტონიას, იშემიას და სხვა, ცენტრალური ნერვული სისტემის მოშლას, ენდოკრინოლოგიურ დაავადებებს, სმენის ორგანოების ფუნქციის მოშლას...

და, ბედის ირონია—ანაკლიაში, რადიოხალკაციო სადგურიდან ორიოდ კილომეტრის დაშორებით ორი წელია ფუნქციონირებს გულსისხლძარღვთა სისტემით დაავადებული ბანაკი. დამართო, შენ გვიხსენ, რა განკურნებული ხალხი დაუბრუნდება თავის ოჯახებს.

ადამიანი ასეთ დღეშია და პირუტყვისათვის ვიღაც სცალია. ბაღანდის ჭამისაგან პირდაპირ გულშია ჭარისკაცმა რომ შეიღვიოთ ნასათუარი პირუტყვი გააგროს და მწვადი ააშინოს, შესც არ იყვირო და ჭეყანა არ შეუარო. რომც შეყარო ვინ მოგისვენს, უნდა გაჩუმდეს და ბურთის ხელა ცრემლი უკან ჩაიბრუნო, დიდი ხანია თავს ზემოთ ძალა აღარ არის. ქალებმა შემოგვივლეს ხმაურისგან დაბნეული კრუბი სახუდარზე ვერ ჩერდება, შიშისაგან აქეთ-იქით აწყდება; ამასობაში კვერცხი ცივდება და წიწილები აღარ იჩეკებიან(?).

ხალხი, ხართ დასკვნების გამოტანის ხასიათზე? მართო დასკვნები გვიშეულის?

მამია კალანდია,
სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ზუგდიდის საქრებულის თავმჯდომარე.

ბაშან გუნაშა,
მწვანეთა პარტიის წევრი.

როცა საქმე გიყვარს

ზოტანიკურ ბაღში არაერთი კეთილსინდისიერი ადამიანი შრომობს. ირცება იმის ღრმა შეგნებით, რომ ეს უნიკალური ადგილი მუდამ კომუნად და მიმზიდველად გამოიყურებოდეს. შეიძლება ითქვას, რომ აკურატულობა და სიფაქივე აქ მომუშავე ყოველ ადამიანს პროფესიულ ჩვევად აქვს ჭკუელი. ერთერთი ასეთი მუშათაგანია დაფინო კონჭარია, მას ვერავენ ვერ ასწრებს აქ მოხვლას. არ ეტუება დარსა და ავდარს, ხარისხიანად ასრულებს ყველა იმ სამუშაოს, რასაც დაავადებენ. შვილებისა და შვილიშვილების ბედზე მაფიქრალი და მზრუნველი ქალი საშური ენერჯითა და ხალისით ეკიდება მასზე მინდობილ საქმეს, როცა გაიგო, რომ გაწეთში მასზე ორიოდ საქმარი სიტყვის თქმას ვაპირებდით, შორცხვად გვითხრო: გეთაქვა, მე ნუ გამომეფოფო, ჩემს გვერდით ჰატიოსნად შრომობენ ცისანა ნორაკიძე, ბაბუცა ჭინკოლაფა, ლუბა სახოკია, დოდო კოდუა, ლომინი სხულუხია და სხვები და მათზეც თქვითო.

ვუსრულებთ თხოვნას და კვლავც ხალისიანი შრომის უნარს ვუსრულებთ.

ჯ. თაღია.

პირველად იგი სტენაზე ენახე, როგორც თვითმკვებდი მსახიობი მომეწონა მისი ქართული, აზროვნების მდიდარი პალიტრა, სიტყვისათან ჭიდილი. აქტიური, მართალი კაცის პოზიცია ეკავა. ავი ამბობდნენ კიდევ, გონიერი, პატრიოსანი მშრომელიყო.

დაფასება არ დაკლებია საქმ-

როცა მათ შეამჩნევს გულგრილობას, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, მაგრამ არასოდეს გამოდის ზომიერების ფარგლებიდან, არასოდეს შეურაცხყოფს პიროვნებას. იმიტომაც უყვართ, სუკეთესო მეგობრად თვლიან, ჰიროსა და ლხინის გამზიარებლად.

რდი მანეთი, თუ იმ ასი მილიარდი მანეთიდან გარკვეულ თანხას გლეხების დასახმარებლად გამოყვოფთ სასუქების, თესლის, მანქანების, ცემენტის, ავტორისა და ასე შემდეგ შესაძენად, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება როგორ შეიცვლება სოფლად ცხოვრება.

ფიცის ერთგული

ჩვენს შიშვე დროებაში, რომელსაც ხან უძრობის ხანად, ხან ბოროტების ბლუეების დროდ სთვლივენ, მართლაც რამ იშვიათი იყო ბოლომდე ადამიანური, პეტლური პრინციპებით გეცხოვრა. მაშინ ხომ სიცრუე, გაუტანლობა და მრავალი მანკიერი თვისება ღამის ცხოვრების ნორმად იქცა და მაინც ჭეშმარიტ ღირებულებათა გადაფასების დროსაც აყენენ ადამიანები, რომელთაც არ უღალატიათ სიკეთის რწმენისათვის, მაღლსა და სითბოს თესდნენ მოყვასთა შორის, სწორედ ასეთებმა მოგვიტანეს დღევანდელი და ნათელი მომავლის რწმენა.

ასეთთა რიცხეს ეკუთვნის ფიზიკური ლილი ფრჩხიაი.

შიშვე ცხოვრების ვა განვლო ქალბატონმა ლილიმ. ერთადერთი ექიმი შეილი ტრაგიკულად დაეღუბა. ექიმის გზა

გონივრული შრომაა საქმირო

ეზე შეყვარებულ პიროვნებას ჯონი ლომიას, მისი მოწოდება მაინც სოფლის ტექნიკისთან ჭიდილი იყო და ამ საქმის ერთგული დარჩა ბოლომდე.

გახაფხულზე ეწვია ონარისა, გულბილად მიიღეს სოფლის მშრომლებმა, გაამხნევეს, გვირდით ამოუდგნენ ახალგაზრდა ინჟინერ-მექანიზატორს, რომელმაც უმოკლეს დროში აუღო ალლო საქმეს და წელში გამართა ბედის ანაბარად მითრებულ ავტოსატრატორო პარკი. მან მშრომლებთან ერთად შეიმუშავა სამომავლო კომპლექსური გეგმა, რომელსაც ახორციელებდნენ გონივრულად, დინჯად, ყოველგვარი ფაციფუტის გარეშე.

ალიონზე იწყება ჯონის სამუშაო დღე და შებინდება მდე გრძელდება, ცალკე ოჯახი მოითხოვს ყურადღებას. მომთბონია ინჟინერ-მექანიზატორი, ხშირად ტუქსაგს კოლექტივის წევრებს

საქმის კაცი სიახლეებსაც უღებს ალლოს, იმედით შეჭყურებს მიმდინარე ცვლილებებს.

სამუშაო უბნის ეზოში შეუბედით ჯონის და რამდენიმე შეკითხვით მიემართეთ:

—ახლა ბევრს დაპარაკობენ სოფლად კერძო საკუთრების აღდგენაზე როგორია თქვენი შეხედულება?

—ჩვენს ჭეყანაში მეურნეობებს და კოლმეურნეობებს, ანუ სახელმწიფოს ეკუთვნის სახნავ-სათესი ფართობის 97 პროცენტი, პირად სარგებლობაში კი მხოლოდ 3 პროცენტი. მასზე მოდის: მოწვეული კარტოფილის 60 პროცენტი, ბოსტნეულის 30 პროცენტი. ჩემს 27 პროცენტ, სორტის 30 პროცენტი. ბუნებრივად ისმის კითხვა—მას რაღას აწარმოებენ სახელმწიფო ფართობებზე? მს ხომ სახელმწიფო ამარაგებს, ტექნიკას, მეცნიერებას ამხარენ, უამრავი ხარჯები მოდის. სოფლის მეურნეობაში ყოველწლიურად უნაყოფოდ იხარება ასი მილიარ-

—რას ფიქრობთ საქართველოში ჩატარებულ პირველ შრავალ-პარტიულ არჩევნებზე?

—70 წლის მანძილზე უპრეცედენტო ამბავი მოხდა, მრავალპარტიული, ნამდვილად ობიექტური არჩევნები. გავიხსენოთ ადრინდელი მექანიზმი არჩევნებისა ოკაბიდან, სამეზობლოდან თითო კაცს მოქიონდა ბიულეტენები და ერთად ყრიდა. ამჟამად, ცხადია, ასეთი რამ ვერ მოხდება.

—როგორ საქართველოს ხილვას ისურვებდით თქვენი შვილების, შვილიშვილების, მთელი ქართველი ხალხისათვის?

—ქრისტიანულ, სამართლებრივ, დამოუკიდებელ, თავისუფალ და ძლიერ საქართველოს. უნდა ვიცოდეთ, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ძლიერი ეკონომიკის გარეშე მუშაობს, მისევენებით იქნება. ასეთი ეკონომიკისთვის გონივრული შრომაა საქმირო.

თამაზ როშაძე.

სიხალე სოფლად

საახალწლოდ, სამომავლოდ

ექსპლოატაციაში შვეა 400 ადგილიანი ჩხორიის კლუბ-კანტორა. დაწყებულია და ზედაზონაში საეკოლომეტრზე მოასფალტდება ცენტრალური გზა.

სოფელში შენდება აბანო მომავალი სეზონისათვის ზედაზონის ცენტრში გაიხსნება საბავშვო ბაღი.

დაწყებულია ცენტრალური მთობის სამუშაოები. ქსელში ჩაირთვება კლუბი, სკოლა და სხვა ობიექტები.

მომავლისათვის აშენდება ჩახ მიკრო უბანი, საექიმო ამბულატორია, კომპლუტურად შეეკონსტრუება შიდა სასოფლო გზები.

საწლით რომ ეძებო. ვერსად იპოვი დარგს, სფეროს, სადაც უამრავი პრობლემა და საფიქრალ-სატკივარი არ იყოს დაბუღებული. ბუნებრივია, ასეთი სპორტშიც. მაგრამ იმაზე, თუ კონკრეტულად რა სახის შუქ-ჩრდილები ახლავს ქალაქ ზუგდიდის სპორტულ ცხოვრებას, გვესაუბრება ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი მისიონი დადიანი.

სპორტული ინტერვიუ

სპორტი უკანასკნელ ნომრად?

იმ პირობებში, რა პირობებშია ცუხდებით ჩვენს სპორტმენებს წვრთნა და დაოსტატებისკენ გზის გაკვლევა, აღნიშნული მეორე ადგილის შენარჩუნებაც კი დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

—პირობები ახსენეთ. ალბათ სპორტული ბაზების სიძვირეს გულისხმობთ.

—ღიას, ბაზების სიმცირეს და ბევრ სხვა რამესაც.

ამ ექვსი დღე წლის წინ გადამწვდა ქალაქში აშენებულიყო სპორტული კომპლექსი, რამდენადაც ვიცი პროექტი შედგა, მაგრამ რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა თავი ვერ მოაბეს მის დადინანსებას.

1985 წელს ახალგაზრდულ პარკში აშენდა და წარუჩინით გააღვეს საქსპორტკომიტეტის სპორტდარბაზი, სადაც წერთან გლიდან ტანმოვარჯიშეები და გოჭიდავეები ამოქმედდებიან დღიდან ამ დარბაზში არ არის

ელემენტარული სამეცადინო პირობები: არა აქვთ წყალი, გათბობა, საპირფარეო, საშხაპე... დმერთმა უწყის, როდის მოგვარდება ყოველივე ეს, სანამდე ეყოფათ ჩვენი სახელოვან ტანმოვარჯიშეებს, მოჭიდავეებსა და მათ მწვრთნელებს ენთუზი-

არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ ვის, რატომ და რამიზნით და სკირდა პირველხარისხოვანი სპორტული ნაგებობისადმი ასეთი ბარბაროსული ზრუნვა.

ზუგდიდულ ძალოსანთა წარმატებები საყოველთაოდია ცნობილი. ისინი გამოცდილი მწვრთ-

არის დატვირთული. ეტყობა, საზოგადოების ფართო მასებში ჯერ კიდევ დაბალია სპორტული თვითშეგნება. რაც შეეხება ახალგაზრდებს, ისინი გასაგები მიზეზების გამო უფრო კარატეს ან აღმოსავლური ბრძოლის სხვა სახეების დაუფლებას ცდილობენ.

—რამდენადაც ვიცი, ქალაქის სპორტსკოლის სხვადასხვა სექციაში დღეისათვის ოთხასამდე მოზარდი მეცადინეობს. რა და რა სექციების გახსნა გავით დაგეგმილი მომავლისათვის, ხომ არ განიცდიოთ მწვრთნელთა სინაკლებებს და ბოლოს არის თუ არა ქალაქის ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრში ფიზიკური კულტურა და სპორტი?

—გათვალისწინებულია ახალი წლიდან გაიხსნას ტილაობა ძიულოს, ფეხბურთისა და სპორტული ტანვარჯიშის სექციები. მწვრთნელთა პრობლემატე მწვა-მედ გვეხსენებს თავს. კერძოდ, არა გვყავს მშვილდოსნობის, ტურგის, ტალღბურთისა და მძლეობის მადალყვანილი ციური მწვრთნელები.

გულახდილად გეტყვი: სპორტისადმი ქალაქის მესვეურთა დამოკიდებულება აღრუც და ახლაც ძალიან ჰგავს ავთ დედინაცვალის საქციელს—ნაბოლარა გერს იმის რომ მიუგდებს, რაც უფიქრ შეივლებს გადარჩებათ ვახშობის შემდეგ.

ესაუბრა ჯამბუშ არაქანიძე.

—ბატონო მიხეილ, ყოველთვის მაინტერესებდა გამეგო, რა კრიტერიუმით ფასდება სპორტკომიტეტის საქმიანობა. ნათქვამია, წიწილებს უცმოდვომოზე ითვლიანო; როგორია ქალაქის სპორტსმენთა წლებადმი მონაგარი, დადებითი თუ..

წოკჯღს სპორტკომიტეტის, ფიზკულტურული კოლეტივების მთელი ყურადღება მიმართული იყო იქითკენ, რომ რესპუბლიკის საზღვრულ სპარტაკიადამი ჩვენი ქალაქი წარმოჩენილიყო ღირსეულად. ძირითადად სწორედ სპარტაკიადამი მოპოვებული წარმატებები, მოპოვებულ ქულათა ჯამი გახლავთ ის კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ფასდება სპორტკომიტეტის მუშაობა. რაც შეეხება წიწილების დათვლას" აქ მოგომარებოდა. არ არის ურიკოდ. მეორე კუთღში მოასპარეზე ქალაქებს შორის ზოგადიმა ჯერჯერობლიო ჩატარებულ სპორტის 11 სახეში მოაგროვა 1300 ქულა და მხოლოდ 80 ქულით ჩამორჩება სადღისოდ ბარველ ადგალზე მყოფ ქალაქ გორს.

რა თქმა უნდა, მიწერილი ზოგარი არ არის. მაგრამ ვიყოო რეალისტიები და ისიც ეთქვი, რომ

ეკლესია — მონასტრები

წინამდებარე სტატიით გვიჩინდა მკითხველს მივაწოდოთ ზოგიერთი ცნობა ჩვენი ქალაქისა და რაიონის სოფლების იმ ეკლესიამონასტრების შესახებ, რომლებიც წინათ მოქმედებდნენ და ბევრ სოფელს ახლაც შემორჩა მათი ნაშთები. ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებს ხშირად გვეკითხებიან ამის თაობაზე და აინტერესებთ თუ რა სახელს ატარებდნენ ეს ეკლესიები.

1852 წლის ოქტომბერში სამეგრელოს ეპისკოპოსის მიერ დაწერილ ბარათში, რომლითაც იგი უპასუხებს დავით დადიანის მიმართვას ჩანს, რომ მაშინ სამეგრელოს ეპარქიაში (ოდონ-ლენჩხუში) მოქმედებდა ყველა სახის 800-ზე მეტი ეკლესია (მათ შორის 242 სამრევლო), რომელთა ნახევარი ქვეითების ნაგებობა იყო, მაგრამ დავითის სახელზე შედგენილ ამ წერილში არ არის ნახეიენები ეკლესიათა მდებარეობა და არც რაიი სახელობითი სია ახლავს ამ დოკუმენტს (იხ. მუზეუმის არქივის საბუთი №1223), გარდა იმისა, რომ მონასტრებად არიან დასახელებული ლენჩხუში სამი, ოდიშში ორი—ცაიშისა და ხობის.

ჩვენ შევეცადეთ მუზეუმის არქივში მოგვეძიო ქნულად მისაკვდები მასალები რა გვაქვს საშუალება ამჟერად მკითხველსა

და ყველა დაინტერესებულ პირს მივაწოდოთ ცნობები რაიონის უმრავლეს სოფლებში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყის პერიოდებში აღრიცხულ ეკლესიათა და მათ სახელწოდებათა შესახებ.

აი ეს ცნობებიც:

ქალაქ ზუგდიდში არსებული ოთხი ეკლესია: მაცხოვრის კარის, ღვთისმშობლის, სამების და წმინდა ნიკოლოზის, სოფელ კახათში — ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის, ქითაწყარში — ღვთისმშობლის, ქაქვიწკში — იესო მაცხოვრისა და წმინდა გიორგის, ორსანტაში — მაცხოვრის, კორცხელში — ღვთისმშობლის, რიყეში — წმინდა გიორგის, ჭუმში — მთავარ ანგელოზის, ყულიშკარში — ალაურტისა და წმინდა გიორგის, განარჯიის მუხურში — წმინდა გიორგის, აბასთუმანში — წმინდა ნიკოლოზის, ეწერში — მთავარ ანგელოზის, დარჩელში წმინდა გიორგის, კვადლუში მთავარ ანგელოზის, რუხში — წმინდა ნიკოლოზის, ნარაუნში — მთავარ ანგელოზის და ცაიშში — უძველესი ისტორიის მქონე მარია მღვთისმშობლის სახელობის მონასტერი.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს ცნობები რაიონის სხვა რამდენიმე სოფელს არ მოიცავს და სრულყოფილი არ არის (ან დასახელებულ სოფლებში იქნებ სხვა სახელოცეულობებიც

იყო). ამჟერად რაც ვნახეთ არქივის მასალებში ის მივაწოდეთ მკითხველს. სრულყოფილი სურათისათვის კვლევა ძიება გრძელდება.

ცაიშის ტენებასთან დაკავშირებით გვიჩინა ჩავფრთოთ ერთი ცნობა ამ სოფლისა და ეკლესიის შესახებ, რომელსაც კვლევის დროს წავაწყდით არქივში.

1848 წელს სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის დავალებით სახლოუსუტეს დათიკა ჩიქოვანს ჩაუტარებია ცაიშის მონასტელობის აღწერა. აღწერაში 153 კომლია დასახელებული, 581 სულით. მათ შორის 189 გლეხთა კომლია, 14 — ზნაურისა, აღწერის მასალებით გლეხობა ორად არის დაყოფილი, 45 კომლი საბატონო გლეხია, 94 — საეკლესიო.

აღწერი საეკლესიო გლეხებს მოიხსენიებს ასე: „ცაიშის მონასტრის მიჩემებულნი გლეხნი“, ზოლო საბატონო გლეხებს, როგორც აქვებს, თუშცა ყოველ მათგანს საეკლესიო და საბატონოს თანაბრად ეიხსრებოდათ გადასახდელები, რაც ჩამოთვლილია თითოეული კომლის მიხედვით.

ამ დროს ცაიშში ყოფილან აზნაურები — მუნარაგები (6 კომლი), უორდანები (3 კომლი), აფაქიებები (3 კომლი), ერთი — მაგლობიშვილი და ერთიც

კუყურდავა (თუ სწორად ამოვიკითხეთ).

საეკლესიო-სამონასტრო გლეხებში ჩაწერილია ყველაზე ხშირად ქირიები და შამუგები, აგრეთვე პაქორები, ზარქუები, ვართაგები, საბატონო გლეხებში — ფარჯიები, ეფენიები, ნაწილი ქირიები, ფეტლაგები, რატიები, წიწაგები და სხვ.

ცაიშში მცხოვრებთა რაოდენობა (581 სული) შეიძლება ვინმეს ცოტათი მოეჩვენოს, მაგრამ თუ ამას შევადარებთ მე-19 საუკუნის შუა ხანების სხვა სოფლების მცხოვრებთა რაოდენობას იგი, პირიქით უფრო მჭიდრო დასახლებად მოგვეჩვენება. ასე მაგალითად, შავი ზღვისპირის სოფელ ანაკლიაში ამ დროს 200 სული ცხოვრობდა, ზუგდიდში — 2000 სული, სოფელ მარაში (რომელიც მაშინ მდინარე რიონზე ნაოსნობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წავ მისადგომიც იყო) — 352 სული (იხ. ი. მეუნარაგია, „სამეგრელოს სამთავრო დავით დადიანის დროს“ გვ. 45).

ცაიშის მაშინდელი შედარებით მჭიდრო დასახლება ამ სოფლისა და აქ არსებული ეკლესიამონასტრის შორეული წარსული დან მომდინარეობდა.

დროა დაფიქრდნენ

ახალგაზრდების დიდი ნაწილი მკლავმოუღვლელად შრომობს მინდვრებსა და პლანტაციებში, მაგრამ მცირე ნაწილს კი სხვისი ნაშრომის წართმევი ცხოვრების გზა აუჩრევია. ქურდობა მძლამ იყო და არის არასაკადრისი. სირცხვილია დღენ იმაზე რომ ვლამარაკობა დეთ დროული ხალხი, მაგრამ ვაი, რომ სალამარაკოა და მერტ როგორ — ხმამაღლა.

დამოუკიდებელ საქართველოს სკირდება მუშა-ხალხი, შრომელთ ახალგაზრდობა, სხვანაირად, ილი გზით ვერ ვივლით. მუქარისა და დაშინების დრო წავიდა, დღეს დიად და თვალნათლივ უნდა გაიჩრეს კარგი და ცუდი.

ი. ვაბუაშვილი, ომისა და შრომის ვეტერანი.

ნათი პრაუიკი ეპიკლეაჟი

ნათი პრაუიკი ეპიკლეაჟი საფოსტო მომსახურების გაუმჯობესების საქმეს. ვაზეთებს რომ გადავფურცლავთ, ხან ერთი ქუჩის მცხოვრებნი ჩივიან, ხან წეორესი, გვიშველეთ, პრესას დროულად არ გვაწვდიანო. არ მინდოდა, ამოდენა გასაქირისთვის ჩემი საწუხაროც დამემტებინა, მაგრამ მეც ძლიერ მაღელვებს ის ფაქტი, რომ ქუჩისაღა-გაზეთები ჩვენს ქუჩაზე კვირაში ორჯერ წაოქეთ: გარ პენსიონერი, სამამულო ომის ინვალიდი, ძაღზე მაინტერესებს ყოველ დღიური პრესა.

ექნებ ამ წერილის შიგთია ყოჩად ლება მოგეპქეთნ რა ჩვენს ისაქი-რსაც ემეგლოს რაი. პატივისცემით ბ. შირაძე, კოლხიის ქუჩის მცხოვრებე.

სამაგალიტო

კურთხეულ იყოს!

შოგლის შემდეგ დედაშვილური ზიკვადის... მალა, მაგრამ მძლეობა... დედას შვილის სიცოცხლეს დაუბრუნებს. ქ. ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოში შეუძლებელი შეძლეს და მოწამულის შედეგად კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში ჩაგარდნილ პატარა თამუნას სიცოცხლე აჩუქეს.

სიკვდილს აღარჩენილი პატარა მოვათავსეთ ბავშვთა ყოფილებაში. აქ მთელი პასუხი სმგებლობით და გულსხმირებით მოჰყიდა ხელი ბავშვის მკურნალობას ექიმმა სოსო ფიფიაძემ.

მილოცვები, სურვილები
ზუგდიდის სარაიონთაშორისო საავადმყოფო ბაზის დირექტორს მზინა თოღუას ვულვაცოვ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას. წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში. სარაიონთაშორისო საავადმყოფო პანსონისა და ბაზის კოლექტივი.

მომალაპეთა საყურადღებო!
ზუგდიდის აგროსამრეწველო ბანკის განყოფილება უახლოეს მომავალში სავალუტო მომსახურებას გაუწევს საზღვარგარეთ კერძო მიწვევით წამსვლელ მოქალაქეებს.

ყურადღება!
1990 წლის 24 ნოემბერს 12 საათზე თბილისის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლში (ათარბეგოვის 26) დანიშნულია ნაჭყებიათა გვარის საქველმოქმედო საზოგადოება „სანაჭყებიათა“ დამფუძნებელი ყრილობა.
1990 წლის 14 ნოემბერს 8 საათზე ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის სხდომათა დარბაზში გაიმართება ნაჭყებიათა გვარის რეგიონალური ყრილობა, სადაც განიხილება წესდების პროექტი და რეგიონალური საკითხები.
დაწერილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: თბილისი, 85-84-00, ნოდარ ნაჭყებია, ან ჩხოროწყუ, სტალინის 8. ტელ. 2-21-04, 2-11-08.
სარეგანიზაციო კომიტეტი.

ვალუტის გაცვლისათვის საჭიროა მოქალაქემ წარმოადგინოს განცხადება, საზღვარგარეთის ვიზა და პასპორტი, სათანადო განაწარმების შემდეგ მას დაუბრუნდება პასპორტი, ვიზა, მიეცემა ვალუტა და სპეციალური ქვიტარი ანუ ნებართვა ვალუტის საზღვარგარეთ გატანის შესახებ.
ბანკში ვალუტის დასურდადება იწარმოებს საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ ცოცხალი რეგის მანქანით.
დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ზუგდიდის აგრომრეწვ ბანკის განყოფილებას.

კომპარტიული ავტოსკოლა „მისაზი“
იღებს მსურველებს, მსუბუქი ავტომობილის მძღოლთა მოსამზადებლად. თეორიული მეცადინეობა მოეწყობა, როგორც დღის ასევე საღამოს საათებში. მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 თვეა. პრაქტიკული მეცადინეობა მოეწყობა მსმენელობის სასურველ დროს.
თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიციური პედაგოგები და მძღოლ-ინსტრუქტორები, მსუბუქი მარკის ავტომობილებით, რომელიც მსმენელს მიჰყავს მის მიერ მითითებულ მისამართზე (ბინაზე ან სასახურში).
ავტოსკოლაში მიიღებენ ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის რაიონის, შალენჯის, ჩხოროწყუს, მესტიის რაიონების მცხოვრებლები.
ავტოსკოლაში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა („უსიკო“) და სამი ცალი სურათი (მკვ). სწავლის ქირის გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანაგარიზზე.
საბუთები მიიღება ყოველდღე 10 საათიდან 16 საათამდე. თანაობითი განხილვისათვის მიმართეთ შიშთაი მისამართით: ქ. ზუგდიდი, სოფლის 3, №2. პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობა, პირველი სართული, ოთახი №104.

ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ზოგადი სარაიონთაშორისო საბჭო იუწყება ყოფილი თავმჯდომარის ამირან ბათლომეს ძე სიქინავას გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.
მეუღლე ჰიჭიკო დარასელი, შვილები: მედიკო, რევაზი, და ვერა, ძმები: ფიშული, კოლა გველიძე, შვილიშვილი ია, შვილიშვილი სესილი, ძმისშვილები: მზია, რეზო, ერეკლე გვილიძე, დისშვილები: ნანა, მალხაზი, ჯია ჯალალონიძე. მული ფენია, მამოლი დურუ. ბორისი დარასელიძე, ძმები ნათელა, ნორა, თალეკო, ლდა, სიმეები კალსტარაძე შარტაძე, ტარიელ გორდელაძე, რანკო ჯალალონი, ავთო ციორია, ბიძა თომა ბენდელიანი, შვილიშვილები ციცი, ივლი, სოსო შარტაძე, მალიშვილები რუსიკო, შორენა, მზია, ირმა, ასმათი, ნესტანი, ბადრი დარასელიძე, ბიძაშვილები, დიდაშვილები, მაილი შვილიძე, ახლო ნათესაები იუწყებიან თამარა ისიდორეს ასულ ველია-დარასელიას გარდაცვალებას. პანაშვილი 10, 11 ნოემბერს, გამოსვლია 13 ნოემბერს 3 საათზე. ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 9.

ზუგდიდის რაიონის საფინანსო განყოფილების სახელმწიფო საგარეოაზიური და დაზღვევის ინსპექციის კოლექტივი სამიზმარს უცხადებს თინათი კიტის მამის მიტროფანე კიტის გარდაცვალების გამო.
ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილება, სახალხო განათლების მუშაკთა პრაქტიკის რაიონში მსუბუქი იუწყებიან აგრა ყარამანის ასულ ლატარია-ბებურის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.
ქ. ზუგდიდის მე-12 საბავშვო ბავშვთა ბაზის თანამშრომლები იუწყებიან თამარა ისიდორეს ასულ ველია-დარასელიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.
რევაზი, რიმა, შოთაიკო ლიკა ბა ჯალაღიბი იუწყებიან სიმონ მურმან ჰიჭიკოს ძე ბერულავას გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.
რაიონის სანეპიდსადგურის თანამშრომლები მსუბუქი იუწყებიან პროდუქტგანყოფილების გამგის მიტროფანე ერასტოს ძე კიტის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.
ზუგდიდის რაიონის პროდუქტგანყოფილების თანამშრომლები იუწყებიან მიტროფანე (ბაჭუ) ერასტოს ძე კიტის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.
მეუღლე ყუმა, შვილები შერ-თაზი, სეგეტა, იმპე, რძალი ნატო, სიმეები ცეზარ ახალია, გულვარდი კიზირია, შვილიშვილები ირმა, კახა ნაჭყებია, ნინო, რაინი, რამაზი, მალხაზი ახალიაძე, ლევანი, დათო კიზირიძე, შვილიშვილები მანია, ია, კუბრე იშვილები, ახლო ნათესაები იუწყებიან ნუტა ალექსის ძე ნაჭყებიათა გარდაცვალებას. პანაშვილი 10 ნოემბერს, დარბაზი 11 ნოემბერს სოფ. განსვენებულში.

ბიძაშვილები ლამარა, თინკო თარღიძე, ფაცია, გულიკო, მურმან გულაშვილი, შამიდაშვილები: ჯუბა, შამია კვარაცხელიძე, ანატოლი, ზალიკო ქობალები, ტოტო, კარლო, ტუტუ, რინოსი, გურამი, თამაზი მაჭავარიძე, ლევან, ციცი, ლარა, ვიკი ჯიქონიძე, დეიდაშვილები ფლორენცია, ციცი, თორნიკე, დათო ქობალები ოჯახებით იუწყებიან ქაჩიკო ჰიჭიკოს ძე თორღიას გარდაცვალებას.
სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალის კოლექტივი იუწყება მარგო (მადონა) პლატონის ასულ კუნთლიშვილი-ფაციათა გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ი. ბ. ბელქანი

გარდაცვალა პარტიის, ომისა და შრომის ეტერანი, პერსონალური პენსიონერი ილიკო ბოკოს ძე ბელქანია.
ი. ბელქანია დაიბადა 1918 წელს ვალს რაიონის სოფელ ოტობიაში, იქვე დაამთავრა შვილწლიანი სკოლა და დიფერენციალური კოლეჯი. 1938 წლიდან გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ლეზბობა მონაწილეობას ბრძოლაში თეთრფინელების წინააღმდეგ. 1941 წლიდან არის ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე. 1944 წელს მიიღეს პარტიის რიგები. იბრძოდა ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის განთავისუფლებისათვის.
დაიღვდა ზოგადი სამაგალიტო ომის პირველი, მეორე ხარისხის ორდენით, მედლებით და სიგელებით.
ბოლო წლებში მუშაობდა ზუგდიდის ფიფიაძის ქარხანაში, სადაც დაამსახურა კეთილსინდისიერი შრომისთვის სხვადასხვა ჯილდოები და მადლობის სიგელები.
წაიდა ჩვენგან ვალსოვლილი ადამიანი, რომლის ნათელი სსოვნა დიდხანს იცოცხლებს ფიფიალის ქარხნის კოლექტივის ამხანაგებისა და მეგობრების გულში.
ახსანაგების ჯგუფი.

ს. მ. რევი

გარდაცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონი, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი, სკკპ წევრი 1948 წლიდან სოლომონ მელოქიძის ძე რევა.
იგი დაიბადა 1903 წელს მარტვილის რაიონის სოფელ ხუნფში. 1925 წელს დაამთავრა ზონის საშუალო სასწავლებელი და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე და დაამთავრა 1929 წელს. სხვადასხვა დროს მუშაობდა ზუგდიდის აგრონიკის გამგედ, ბათუმის სოფელი ბაზის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, სკკპს წევრნობის დირექტორის მოადგილედ, ზუგდიდის წარმომადგენელი იუწყება თანამშრომლის განყოფილების ძე თორღიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.
ზუგდიდის საფინანსო კოლაში „ლიონი“ და „ლიონი“-ის ობიექტებში აქტიური იუწყებიან ზუგდიდის ცენტრალური სტალინის ყოფილი დირექტორის ეშვარ პარტიის ძე ფარა-ნიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
შინაგან საქმეთა ზუგდიდის განყოფილების კოლექტივი იუწყება ეშვარ პარტიის ძე ფარა-ნიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.
ქალაქის პროდუქტგანყოფილების კოლექტივი იუწყება მიტროფანე ერასტოს ძე კიტის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.
ტობრკულონის საწინააღმდეგო დისანსიკის მედიკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან ლებნ ექიმ ანა კიტის მამის მიტროფანე ერასტოს ძე კიტის გარდაცვალების გამო.
ბავშვთა ბოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ქაჩიკო ჰიჭიკოს ძე თორღიას გარდაცვალებას.
მესამე საშუალო სკოლის პედაგოგიკო კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან ყოფილი მასწავლებლის პარმენ მოსეს ძე ყალიაშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი პ. მანუჩარი

ზუგდიდის სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის მომსახურებელი იუწყებიან მუსტარის სატყეოს უფროსის ქაჩიკო ჰიჭიკოს ძე თორღიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.
მეუღლე თამარა, შვილები კახიკო, მურადი, გენადი, რძლები რიმა, ისარია, ზაირა ზუფენია, და მოყონა, შვილიშვილები ირმა, რიმა, მალხაზი, ლანა, ლელო, ლიკა იუწყებიან ყორე ილიარიონის ძე ხაბურზიას გარდაცვალებას. პანაშვილი 10, 11, 12 ნოემბერს, დარბაზი 13 ნოემბერს სოფ. ანაკლიაში.
ცეკვიშორის ზუგდიდის საექსპორტო პროდუქტის დამამუშავებელი და სავაჭრო განყოფილების დირექტორი და სსრ მოსამსახურებელი იუწყებიან სოლომონ მელოქიძის ძე რევის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.
ზუგდიდის საბრთიერო მეტრონიკის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება თანამშრომლის ყორე ჰიჭიკოს ძე კილიანის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.
ქ. ზუგდიდის ყველ-არაქის ქარხნის კოლექტივი იუწყება ეშვარ ფარა-ნიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.
ზუგდიდის მეორე ჩაის ფაბრიკის განყოფილების უფროსი თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზია ბიჭიას მამის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.
ზუგდიდის მეორე ჩაის ფაბრიკის განყოფილების უფროსი თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზია ბიჭიას მამის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

И Н Д Е К С 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-23-69 პასუხისმგებელი მდივანი 2-21-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წიგნების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. სსრ ბეჭდვასხეობის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000